პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ _____"

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, ასევე 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში **(ვებგვერდი 08/07/2022წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250010.35.113.016481)** და დადგენილებით დამტკიცებული წესის :

სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა, ნასყიდობის ხელშეკრულების და სარგებლობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

მუხლი 1-ელი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესი, დანარათი N1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს უპირობო აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს პირობებიანი აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

4.დამტკიცდეს სარგებლობის ხელშეკრულების ფორმები (იჯარა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა) დანართი №4-ის შესაბამისად.

ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში დანართი 1-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი 1 „მუხლი 3. ქონების სააუქციონოდ მომზადება გულისხმობს:

ა) მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ქონების შერჩევას;

ბ) ქონების აზომვასა და რეგისტრაციას;

გ) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და გეგმის პროექტების მომზადება და წარდგენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის;

დ) სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 2.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

(განმარტებითი ბარათი შედგენილია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

1. **პროექტის წარმდგენი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - ავთანდილ თალაკვაძე

2. **პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილე - გიორგი ღურჯუმელიძე

3. **პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი, ასევე 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლი;

ა.ბ) პროექტის მიზნებს წამოადგენს :

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებით პირობებს, წესებს ასევე პროექტით დანართი 4-ის შესაბამისად განისაზღვრა, სარგებლობის უფლებით განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულებები (იჯარა,სერვიტუტი, აღნაგობა, უზუფრუქტი) .

ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტი ადგენს **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში** ცვლილების შეტანისა და მის განხორციელების წესს, კერძოდ განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს .“

ბ.ბ) პროექტით ცვლილებები შედის **სათაურში :**

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა, ნასყიდობის ხელშეკრულების და სარგებლობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის ხელშეკრულების ფორმების (იჯარა,სერვიტუტი, აღნაგობა, უზუფრუქტი) დამტკიცების შესაბამისად (დანართი 4) განისაზღვრა აღნიშნული ასევე სათაურშიც.

ცვლილება შევიდა 1-ელ მუხლში :

„მუხლი 1.

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესი, დანარათი N1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს უპირობო აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს პირობებიანი აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

4.დამტკიცდეს სარგებლობის ხელშეკრულების ფორმები (იჯარა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა) დანართი №4-ის შესაბამისად.

აღნიშნულ მუხლს დაემატა მე-4 ქვეპუნქტი რომელშიც განისაზღვრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“

ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში დანართი 1-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

დანართი 1 „მუხლი 3. ქონების საუქციონოდ მომზადება გულისხმობს:

ა) მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ქონების შერჩევას;

ბ) ქონების აზომვასა და რეგისტრაციას;

გ) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და გეგმის პროექტების მომზადება და წარდგენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის;

დ) სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

რომელშიც ქონების საუქციონოდ მომზადების ეტაპებიდან ამოღებულ იქნა დ) საპრივატიზებო ობიექტზე საინფორმაციო დაფის განთავსება, რომელიც უნდა შეიცავდეს აუქციონის პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ, გამომდინარე იქიდან რომ არ გვაქვს ვალდებულება, (საქართველოს მთავრობის დადგენილება №669 2014 წლის 8 დეკემბერი N669-ეს შესაბამისად) ამიტომ აღნიშნული მოკლებული იყო მუხლობრივად განსაზღვრის პრეროგატივას;

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.

4. **იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):**

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და

ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

7. განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

8. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

9. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

10. **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.**
ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

11. **პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2024 წლის ----ივნისი.**